
2. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები 36

თავი III 41

1. სტრატეგიის იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები 41

1.2 სამოქმედო გეგმა 41

1.3 მონიტორინგი და შეფასება 41

ბიბლიოგრაფია 43

შესავალი

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა, ვინაიდან ახალგაზრდობა საზოგადოების ის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც გააჩნია განუზომელი შესაძლებლობები, ენერგია, თანამედროვე შეხედულებები, ძალა, უნარი და მისწრაფებები, რაც საჭიროებს გამოვლენას, რეალიზებასა და განვითარების ხელშეწყობას.

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის განსახორციელებლად, პირველ რიგში, საჭიროა განისაზღვროს ახალგაზრდების განვითარებისა და მხარდაჭერის სწორი, მკაფიო, მტკიცებულებებსა და მონაწილეობაზე დაფუძნებული მიზნობრივი სტრატეგია.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი მეტწილად, სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკის კონცეფციასა და ადგილობრივ გამოწვევებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით, განსაზღვრავს ახალგაზრდობის სფეროს მუნიციპალურ პოლიტიკას, სფეროს განვითარების ხედვას და ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევისა და შემცირების გზებს, სტრატეგიულ მიზნობრივ მიმართულებებს, ამოცანებსა და სამოქმედო გეგმას და იგი ძირითადად, ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკით, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებას, ხელშეწყობასა და მხარდაჭერას.

თავი I

1. სტრატეგიის ზოგადი მიზანი

წინამდებარე სტრატეგიის მიზანია ქ. ბათუმში მცხოვრები 14 დან 29 წლის ახალგაზრდების განვითარებისა და კეთილდღეობისთვის ხელსაყრელი, უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოსა და შესაძლებლობების შექმნა;

ახალგაზრდებში მაღალი სამოქალაქო თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება, პიროვნული განვითარების, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა;

სტრატეგია შემდგომში, საფუძვლად დაედება ახალგაზრდობის სფეროსა და ახალგაზრდების განვითარებასთან, ხელშეწყობასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებულ მუნიციპალურ პროგრამებს და საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს ეფექტურად განკარგოს ფინანსური რესურსები კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

2. პრინციპები

მონაწილეობის პრინციპი

მონაწილეობა ამ შემთხვევაში გულისხმობს ინდივიდების ან ჯგუფების ჩართვას სტრატეგიის პროექტის შემუშავებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პოლიტიკის განხორციელებასა და მონიტორინგში. წინამდებარე სტრატეგიის შემუშავების პროცესი მონაწილეობრივი იყო და აღნიშნული პრინციპის დაცვა უზრუნველყოფილი იქნება სტრატეგიის განხორციელების პროცესშიც.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპი

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპი გულისხმობს, პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავებას დასაბუთებული მონაცემების საფუძველზე. წინამდებარე ახალგაზრდობის სტრატეგიის დოკუმენტი ეფუძნება მტკიცებულებებს, მათ შორის ადგილობრივ დონეზე ჩატარებულ კვლევებს, საექსპერტო გამოკითხვებს, სფეროში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, სტატისტიკურ მონაცემებსა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს.

თანაბარი ხელმისაწვდომობა, ინკლუზიურობა

სტრატეგია უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდა თანაბრად სარგებლობდეს იმ შესაძლებლობებით და სიკეთეებით, რაც უკვე არსებობს ან მომავალში შეიქმნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდების მოწყვლადი ჯგუფების, NEET ახალგაზრდებისა (განათლების, დასაქმებისა და ტრენინგის მიღმა მყოფი ახალგაზრდა, არააქტიური და/ან უმუშევარი ახალგაზრდა. ახალგაზრდების ეს ჯგუფი არის სოციალური გარიყვის მაღალი რისკის ქვეშ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მონაწილეობას. სტრატეგიის შემუშავების პროცესი ხელმისავწდომი იყო დაინტერესებული მხარეებისთვის და დოკუმენტით განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და ღონისძიებები თავისი არსით ქმნის თანაბარ შესაძლებლობებსა და ხელმისაწვდომობას.

კეთილგანწყობილების პრინციპი

სტრატეგიის განხორციელების ყველა ეტაპზე, გათვალისწინებული იქნება ახალგაზრდების ასაკობრივი განვითარების თავისებურებები, საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები, ხელშეწყობილი იქნება ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვა, ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი და დისკრიმინაციისაგან თავისუფალი, უსაფრთხო გარემოს შექმნა.

გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპი

სტრატეგიის შემუშავების პროცესში დაცული იყო გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპი, რაც უზრუნველყოფილი იქნება განხორციელებისა და მონიტორინგის ეტაპებზეც.

ანგარიშვალდებულების პრინციპი

ახალგაზრდობის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში განმახორციელებელი მხარე ანგარიშვალდებულია დაინტერესებულ მხარეებთან, რაც გულისხმობს აღსრულებისა და მონიტორინგის პროცესში დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობასაც (Council of Europe 2015).

3. ზოგადი ინფორმაცია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, კახაბრის დაბლობზე, ზღვის დონიდან 2 - 3 მეტრის სიმაღლეზე. ქალაქი გადაჭიმულია ჩრდილოეთ აღმოსავლეთიდან სამხრეთ დასავლეთისკენ 7 კილომეტრზე. ბათუმის ძირითადი ნაწილი სამხრეთიდან ეკვრის ყურეს და გაშენებულია კახაბრის ვაკეზე, დანარჩენი ნაწილი ყურის აღმოსავლეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით - მდინარეების ბარცხანისა და ყოროლისწყლის გასწვრივ მდებარეობს, ბათუმის ტერიტორია ასევე გრძელდება მდინარე ჭოროხის სამხრეთით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი შედგება 14 ადმინისტრაციული ერთეულისგან, მისი საერთო ფართობი შეადგენს 64.94,31 ჰექტარს და აღნიშნული მაჩვენებლით ბათუმი საქართველოში მესამე ქალაქია. ქ. ბათუმის ფართობი ქვეყნის ფართობის 0,09%-ს, ხოლო რეგიონის ფართობის 2,2 %-ს შეადგენს.

მოსახლეობის რაოდენობით ბათუმი მეორე ქალაქია საქართველოში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის მონაცემებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 173, 7 ათასი კაცია.

ბათუმის თვითმმართველობას საფუძველი 1888 წელს ჩაეყარა. დღესდღეობით, ბათუმს აქვს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს შორის, ახალგაზრდობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

რაც შეეხება, თვითმმართველობის უფლებამოსილებათა ფარგლებს ახალგაზრდობის სფეროში, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით, ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას. ამავე კოდექსის, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტს თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას შეუძლია შეიმუშაოს სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები. [1]

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=63

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

„2020 – 2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების თანახმად, კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკას, 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს და 22 მოსალოდნელ შედეგს, რომელთა შესრულებისთვის პასუხისმგებელნი არიან საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები[2].

ზემოაღნიშნულ კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტებისა და მუნიციპალიტეტის დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას.

კონცეფციის მე - 5 სტრატეგიული პრიორიტეტია „ცენტრალურ და მუნიციპალიტეტის დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფა“. ამავე კონცეფციის მიხედვით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებისას უწყებებს შორის კოორდინაცია.

ადგილობრივ დონეზე, ახალგაზრდობის პოლიტიკის, მტკიცებულებებისა და სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის შესაბამისად განვითარებისა და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ ,,ახალგაზრდობის სააგენტოსა“ და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, 2021 წლის 13 აპრილს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ზემოაღნიშნული მემორანდუმის საგანს წარმოადგენს, ხსენებული კონცეფციის ფარგლებში ერთობლივი პროექტების განხორციელება და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება. აგრეთვე, სააგენტოს „მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების“ ქვეპროგრამის განხორციელების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ქვეპროგრამის მონაწილე მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის პოლიტიკის, იგივე სტრატეგიის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შექმნასა და ამ პროცესში სააგენტოს მხრიდან ხელშეწყობი ღონისძიებების გატარებას.

წინამდებარე „ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია“ (შემდგომში „სტრატეგია“) ეყრდნობა „2020 – 2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამიტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054-რს დადგენილებას, ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის მიზნებისთვის, ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში 2021 წელს

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0

საქართველოს პარლამენტის დადგენილება 7054-რს „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ.

ჩატარებული კვლევით გამოვლენილ მიგნებებსა და მტკიცებულებებს, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის სფეროს სიტუაციურ ანალიზს, ქვეყანაში და კერძოდ, ქ. ბათუმში, ბოლო დროს ჩატარებულ კვლევებს, ახალგაზრდების ასაკობრივი განვითარების თეორიებს, ადამიანის უფლებებს, საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებითა და სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, ევროპარლამენტის, ევროპის საბჭოსა და გაეროს მიერ სხვადასხვა დროს მიღებულ კონვენციებს, რეზოლუციებსა და ქარტიებს, მათ შორის რეკომენდაციებს ახალგაზრდობის პოლიტიკასთან დაკავშირებით, დარგობრივ სახელმძღვანელოებს, დაინტერესებულ მხარეებთან და ახალგაზრდობის სფეროს სპეციალისტებთან კონსულტაციებს, მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებსა და უფლებამოსილებებს.

4. ახალგაზრდობა

ტერმინში „ახალგაზრდობა“ მოიაზრება ავტონომიურ ცხოვრებაზე ტრანზაციის პერიოდი: სწავლის ეტაპიდან შრომის ეტაპზე; დამოკიდებული ყოფიდან დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლა. ის, რასაც ტერმინი „ახალგაზრდობა“ მოიაზრებს, დროში და სივრცეში გამუდმებით იცვლება. [3]

ახალგაზრდების ასაკობრივ კატეგორიებს შორის, ყველაზე დიდ და ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს მოზარდები (12-20) [4] წარმოადგენენ, რადგან მოცემული ასაკისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახის ცვლილებები, მათ შორის სხეულის, გონებისა და სოციალური.

მოცემული ფაზის ძირითადი ამოცანაა იდენტურობის ფორმირება, რადგან ეს არის პერიოდი ბავშვობასა და მოწიფულობას შორის. პირველისგან მოზარდს სურს დისტანცირება, მეორე კი ჯერ კიდევ უცნობია მისთვის. იდენტურობის პოვნა დამოკიდებულია შიდა და გარე დაძაბულობებზე, რომელიც ასევე ცნობილია როგორც კრიტიკული მოვლენა და ხშირად იწვევს კონფლიქტებს.[5]

ადამიანის იდენტურობა მუდმივად იცვლება და მყარდება მთელი ცხოვრების განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებით მძაფრდება ყმაწვილობისა და მოზარდობის პერიოდში (H. Keupp), ამიტომ განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით, ახალგაზრდობის სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიასთან მიმართებაში, ყველაზე დიდი ყურადღება სწორედ მოზარდობის პერიოდს

---

[3] https://www.un.org/esa/socdev/documents/youth/fact-sheets/youth-definition.pdf

United Nations Organization, Definition of Youth.

[4] Child and Adult Development, Adolescence (Ages 12-20) Calivn A. Colarusso M.D.

[5] პრაქტიკული სახელმძღვანელო ახალგაზრდების ჯგუფებთან მომუშავეთათვის, ავტორები: ჟ. გაილიუსი, ა. მალინაუსკასი, დ. პეტკაუსკასი, ლ. რაგაუსკასი, თარგმანი, თბილისი, 2012 წ.

ენიჭება, მაშინ როდესაც მიმდინარეობს ახალგაზრდების მსოფლმხედველობის, ღირებულებათა სისტემისა და იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი, [6] ამდენად აღნიშნულ პერიოდში ახალგაზრდებს განსაკუთრებით სჭირდებათ განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალგაზრდობის სტრატეგიაში (2030) [7]ნათქვამია, რომ ახალგაზრდების გაძლიერება, განვითარება და ჩართულობა ნიშნავს უკეთესი სამყაროს აშენებას. გაერო აღიარებს, რომ მას არ შეუძლია თავისი მისიის მიღწევა ახალგაზრდებთან პარტნიორობის გარეშე და რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახალგაზრდების არამხოლოდ მოსმენა, არამედ გაგება, არამხოლოდ ჩართულობა და მონაწილეობა, არამედ, მათი გაძლიერება და უფლებამოსილების მინიჭება, არამხოლოდ მხარდაჭერა, არამედ წამყვანი როლის მიცემა.

რაც შეეხება ახალგაზრდობის ასაკობრივ ზღვარს, ახალგაზრდობასთან მიმართებაში, ევროპის მასშტაბით ხშირად გამოიყენება 15-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი. სტატისტიკური მიზნებისთვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახალგაზრდობაში მოიაზრებს 15-24 წლის ასკობრივ ჯგუფს.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის თანახმად, ახალგაზრდად ითვლება პირი 14 დან 29 წლის ჩათვლით. [8]

საქსტატის 2021 წლის მონაცემებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 172 073 ადამიანი, მათ შორის 14 დან 29 წლის 38 175 პირი, ასაკობრივ კატეგორიაში ახალგაზრდების რაოდენობა ასე გამოიყურება: 14 – 18 წლის - 9 542, 19 – 24 წლის - 13 384 და 25 – 29 წლის - 15 249. სქესობრივ ჭრილში: 18 942 ქალი და 19 233 კაცი.

[6] https://rm.coe.int/european-framework-for-youth-policy-eng/16809096b6

A EUROPEAN FRAMEWORK FOR YOUTH POLICY

[7] გაეროს ახალგაზრდობის სტრატეგია 2030

5. სიტუაციური ანალიზი

ეფექტური ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა, პოლიტიკის მოქმედების არეალში, სფეროში არსებული სიტუაციის სიღრმისეული შესწავლა, გაანალიზება, შეფასება, ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევების გამოვლენა და მათი გადაჭრისთვის ოპტიმალური გზების მოძიება, ღონისძიებების დაგეგმვა და გატარებაა.

ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისას, პირველ რიგში, გაკეთდა სიტუაციური ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის სფეროში არსებული სიტუაცია, მტკიცებულებებზე დაყრდნობით, იდენტიფიცირდა ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევები, საჭიროებები და შესაძლებლობები. გაანალიზდა სფეროში არსებული მდგომარეობა და შეფასდა შიდა თუ გარე შესაძლებლობები და რისკები. სიტუაციური ანალიზის პროცესში გამოყენებული იქნა სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობის პოლიტიკის კოორდინატორების მიერ ჩატარდა SWOT ანალიზი, შეფასდა 2019 – 2021 წლების ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის შინაარსი[9], ბოლო 5 წლის მანძილზე, მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული ახალგაზრდობის განვითარების ხელშემწყობი ქვეპროგრამები და მათი შედეგები.

ჩატარდა სამაგიდე კვლევა ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების სოციალური, კულტურული, ფიზიკური, დემოკრატიული, საგანმანათლებლო და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის კუთხით არსებული შესაძლებლობების შესახებ.

ჩატარდა „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე, ბათუმის მუნიციპალიტეტი და აჭარის რეგიონი“, („ეისითი“, 2021 წ.).

[9] ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 იანვრის №10 განკარგულება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“, დანართი 4

ხსენებული კვლევის შედეგად გამოკვეთილ მიგნებებსა და ძირითად გამოწვევებთან დაკავშირებით, დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა თემატური შეხვედრები, განხილვები და კონსულტაციები, საერთო ჯამში 8 შეხვედრა.

სტრატეგია კიდევ ერთ მნიშვნელოვან ლოკალურ დონეზე ჩატარებულ „ნარატივების“ კვლევას (კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, 2022 წ) ეფუძნება. კვლევის მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ როგორაა ამჟამად სტარტაპერობა, მეწარმეობა და ინფორმაციული და ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროები აღქმული ქ. ბათუმში მცხოვრებ ახალგაზრდებში, რა ახდენს ახალგაზრდების ხედვების ჩამოყალიბებაზე გავლენას და როგორ შეიძლება ხედვების ისე ტრანსფორმირება, რომ მეწარმეობა, ინოვაციები და სტარტაპერობა გახდეს მიმზიდველი ახალგაზრდებისთვის ბათუმში.

5. 1. კვლევით გამოკვეთილი მიგნებები

წინამდებარე სტრატეგიის დოკუმენტი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კვლევის მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიქმნა და იგი ძირითადად, ეყრდნობა სსიპ ,,ახალგაზრდობის სააგენტოს“ მხარდაჭერითა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაკვეთით, კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითის“ მიერ ჩატარებულ „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევას“, რომლის მიზანი იყო ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების, უფლებების, გამოწვევებისა და ინტერესების შესწავლა. [10]

კვლევის ამოცანებად განსაზღვრული იყო ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესების, მოტივაციის, მოლოდინებისა და იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რომელიც არსებობს ადამიანის უფლებების რელიზების თვალსაზრისით, ასევე იმ შესაძლებლობების გამოვლენა, რომელთა გაფართოებაც გააუმჯობესებდა სხვადასხვა აქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

კვლევისას გამოყენებული იქნა სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი და შერჩევითი პრინციპით გამოიკითხა 14 დან 29 წლის 200 ახალგაზრდა. ცდომილება - 4.9 %.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ფოკუს ჯგუფებთან მოეწყო დისკუსია სამ ასაკობრივ ჯგუფში: 14 – 17, 18 – 23, 24 – 29. კვლევის ფარგლებში, ასევე ჩატარდა 4 სიღრმისეული ინტერვიუ

[10] https://drive.google.com/file/d/13LBxMnRuHV8uhVreHOVSyRybdlH0oMfX/view?pli=1

„ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა

მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე ბათუმის მუნიციპალიტეტი და აჭარის რეგიონი“, მომზადებულია კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითის“ მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისისთვის, 2021 წ.

სამოქალაქო აქტივისტებთან და ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან.

კვლევით გამოიკვეთა სხვადასხვა გამოწვევა და საჭიროება, კვლევის შედეგები წარდგენილ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან, რის შემდეგაც ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების გათვალისწინებით, დასახელდა შვიდი ძირითადი პრობლემური მიმართულება, მათ შორის:

1) დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევა;
2) ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული გამოწვევა;
3) მონაწილეობასთან დაკავშირებული გამოწვევა;
4) ინფორმირებულობის გამოწვევა;
5) ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური განათლების სერვისების ხელმისაწვდომობის გამოწვევა;
6) ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების საჭიროება;
7) შეკრების სივრცეებზე ხელმისაწვდომობის გამოწვევა.

აღნიშნული პრობლემების გაანალიზებისთვის გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები:

- პრობლემების ხე;
- ჯგუფური თემატური დისკუსიები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან;
- შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატში;
- დამუშავდა ქვეყენაში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ჩატარებული კვლევები;
- დამუშავდა სტატისტიკური მონაცემები.

5.2. კვლევით გამოკვეთილი მიგნებების ანალიზი

1. **დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევა**

კვლევის ძირითად მიგნებებს შორის, ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა დასაქმებაა, რაშიც ხელშეწყობა სახელდება ყველაზე მნიშვნელოვნად ბათუმის მუნიციპალიტეტში (50%);

ბათუმის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა უმრავლესობა, ახალგაზრდების დასაქმებისთვის მთავარ ფაქტორად მუშაობის გამოცდილებას (58%) მიიჩნევს, 54 % შესაბამის განათლებას, 46 % კი უცხო ენის/ენების ცოდნაზე მიუთითებს. შესაბამის სანაცნობო წრეს ახალგაზრდების 41 % ასახელებს;

დასაქმებასთან დაკავშირებული რამდენიმე გამოწვევა გამოიკვეთა დისკუსიებზეც. კერძოდ, ხაზი გაესვა სამუშაო ადგილების სიმწირეს, რის გამოც, თუ დასაქმება მეტნაკლებად შესაძლებელია ზაფხულის სეზონზე, წლის სხვა სეზონებზე ახალგაზრდებს დასაქმების შესაძლებლობები არ აქვთ.

ახალგაზრდებისთვის ასევე გამოწვევაა, სტუდენტებზე მორგებული სამუშაო განრიგის არარსებობაც და დამსაქმებელთა მხრიდან ხშირად შეუსაბამო მოთხოვნები სამუშაოს მაძიებლების მიმართ. დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკვლავებისთვის ორ მთავარ ფაქტორად ახალგაზრდები პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში (61%) და უცხო ენების შესწავლა/დახვეწაში (61%) მხარდაჭრას მიიჩნევენ.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ დასაქმება ახალგაზრდების წინაშე მდგარ პრობლემებს შორის ერთ-ერთ ყველაზე დაუძლეველ გამოწვევას წარმოადგენს მთელი ქვეყნის მასშტაბითაც, რასაც ბოლო წლებში ეროვნულ დონეზე ჩატარებული კვლევები და სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობს. მათ შორისაა, უნისეფის მიერ საქართველოში 2014 წელს ჩატარებული ახალგაზრდების ეროვნული კვლევაც [11] რომელშიც ვკითხულობთ, რომ საქართველოს

[11] https://www.unicef.org/georgia/media/1131/file

„ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში, საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი" გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014 წელი

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე სწორედ ახალგაზრდებში ფიქსირდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის პუბლიკაციაში „მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი (დასაქმება და უმუშევრობა) 2019“ [12] მოყვანილი მონაცემების მიხედვით კი, საქართველოში უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჭრილში ასე გამოიყურება : 15 – 19 წლის ასაკის ახალგაზრდებში - 29,7 %, 20-24 წლის ახალგაზრდებში - 30.5%, 25-29 – 18.9 %.

ზოგადად, ახალგაზრდების დასაქმების საკითხი, გლობალურ პრობლემასაც წარმოადგენს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელის გია რაიდერის შეფასებით - „ახალგაზრდებში უმუშევრობის ალბათობა ორ-სამჯერ მეტია, ვიდრე შრომის ბაზარზე მყოფი სხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებისთვის[13]

სტრატეგიის მომზადების პროცესში, დასაქმებასთან დაკავშირებით, დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულ დისკუსიაზე, აღინიშნა, რომ უმუშევრობა სისტემური პრობლემაა და მრავალი მიზეზითაა განპირობებული, მათ შორის სამუშაო ადგილების სიმწირით, რომელიც დაკავშირებულია დაბალ ეკონომიკურ აქტივობასთან, პროფესიის შესაბამისი ადგილების ნაკლებობასთან, არაკვალიფიციურობასთან, პროფესიის ან ხელობის არქონასთან, კონკურენციასა და უცხო ენების არ ცოდნასთან ან არასაკმარისად ცოდნასთან.

გამოწვევის განხილვისას, დასაქმებისთვის ხელისშემშლელ მიზეზებს შორის დასახელდა ასევე, საფუძვლიანი და ხარისხიანი საბაზისო განათლების არ ქონაც, უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი განათლების დაბალი ხარისხი, აგრეთვე, პროფესიული თუ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, არაფორმალური განათლების შესაძლებლობების ნაკლებობა, პროფორიენტაციის პროგრამებისა და ამ მხვრივ მხარდამჭერი სერვისების არ არსებობა, უმაღლეს სასწავლებლებსა და კერძო სექტორს შორის სუსტი ურთიერთკავშირი.

დისკუსიის მონაწილეებმა, ასევე აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს პროფესიული სასწავლებლების სიმწირე, პროფესიული თუ სახელობო განათლების ნაკლებპოპულარობა, პროფესიულ სასწავლებლებში პროფესიებისა და ხელობის

---

[12] https://www.geostat.ge/media/31261/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2019-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98.pdf

“მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობისმაჩვენებელი - 2019 წ“

[13] https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/538/Youth%20unemployment%20in%20Georgia%20and%20the%20ways%20for%20its%20reduction.pdf?sequence=1&isAllowed=y

ახალგაზრდების უმუშევრობა და მისი შემცირების გზები საქართველოში

არჩევანის არამრავალფეროვნება. პროფესიის არჩევის დროს სტერეოტიპებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები.

დისკუსიაზე ასევე გაჟღერდა, რომ დასაქმების პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ ხშირად არ ტარდება კვლევები დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესასწავლად. უმუშევრობის მიზეზებს შორის დასახელდა დაბალი ანაზღაურებაც, შრომის დისკრიმინაციული პირობები, სამუშაოს მოძიებისა და საკუთარი თავის წარმოჩენის უნარ-ჩვევების ნაკლებობაც და სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულეებიც.

დისკუსიაზე ჩართულმა პირებმა ყურადღება თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ განათლების ხელმისაწვდომობასა და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების არ ქონაზეც გაამახვილეს, ამასთან, აღნიშნეს, რომ მეწარმეობისა და ფრილანსერობის კულტურაც ნაკლებად პოპულარულია ქ. ბათუმში.

თანამედროვე გლობალურ სამყაროში და ტექნოლოგიების ერაში კი, ძალიან მნიშვნელოვანია ციფრული კომპეტენციების ფლობის საჭიროება, ამიტომაც მისი განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა გამოკვეთილია "საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის" ევროპულ ჩარჩო დოკუმენტშიც. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დღეისთვის, ახალგაზრდების მიზნობრივ ჯგუფს ძირითადად Gen z - ის (1997-2012 წწ-ში დაბადებული თაობა) ასაკობრივი კატეგორია წარმოადგენს, რომლებსაც ვერ წარმოუდგენიათ სამყარო ტექნოლოგიების გარეშე. მომავლის პროფესიები კი, კიდევ უფრო მეტად იქნება დაკავშირებული ინფორმაციულ და ინოვაციურ ტექნოლოგიებთან, ამიტომ აუცილებელია ახალგაზრდების ქცევა ტექნოლოგიებთან მიმართებაში, რაც ძირითადად სოციალური ქსელების გამოყენებასა და თამაშებთან არის დაკავშირებული, მიმართული იქნეს ისეთი უნარების შეძენისკენ, რაც მათ მომავალში დასაქმებაში დაეხმარებათ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენციების არქონა და ამ სფეროში ახალგაზრდების დაბალი ჩართულობა, მართლაც მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დასაქმების გამოწვევასთან, ვინაიდან, დღესდღეობით, შრომის ბაზარზე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა მოთხოვნადია, მაგრამ ახალგაზრდების უმარვლესობას არ გააჩნია სათანადო კომპეტენციები და კვალიფიკაცია აღნიშნული მიმართულებით, მეტიც ინტერესიც კი დაბალი აქვთ, რასაც ადასტურებს ქ. ბათუმში 2022 წელს ახალგაზრდებში ჩატარებული „ნარატივების“ [14] კვლევის ანგარიშში მოყვანილი მტკიცებულებაც, სადაც ვკითხულობთ: „უკვე შეთავაზებული ჩამონათვალიდან თანატოლების ინფორმაციული ტექნოლოგიებით დაინტერესებაზე გამოკითხული ახალგაზრდების 41 % მიუთითებს, რაც თავად მხოლოდ 7 % დაასახელა ინტერესებს შორის.

[14] „ნარატივების კვლევის“ ანგარიში, კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, 2022 წ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასაქმების გამოწვევის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ასევე მოვიაზროთ, მეწარმეობისადმი დაბალი ინტერესი და სამეწარმეო საქმიანობაში ახალგაზრდების დაბალი ჩართულობა, რასაც ამტკიცებს „ნარატივების“ კვლევაში მოყვანილი მიგნებებიც, მათ შორის: „მეწარმეობით/სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობებით თანატოლების დაინტერესებაზე 25% მიუთითებს ინტერესთა ჩამონათვალიდან, თუმცა თავისუფალი აზრის დაფიქსირებისგან აღნიშნული დასახელებული არ ყოფილა“.

კვლევის თანახმად, ტექნოლოგიებისა და მეწარმეობისადმი დაბალი ინტერესის ერთ-ერთი მიზეზი ინფორმირებულობის სისუტეში შეიძლება ვეძიოთ. ახალგაზრდების უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ თუ რას გულისხმობს მეწარმეობა და სტარტაპი. გარდა ამისა, გამოკითხული ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ 3 %- ია ჩართული სამეწარმეო საქმიანობაში.

საინტრესოა, რომ კვლევის მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობისთვის მომავალში იდეალური სამსახური დაკავშირებულია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროსთან (17%), ხოლო, 14% - ისთვის სამართლის, 10% - ისთვის ტურიზმის და 10% - ისთვის მშენებელობის სფეროებთან.

„ნარატივების“ კვლევაში ვკითუხლობთ, რომ „რესპონდენტთა დიდი ნაწილი დამატებითი ინფორმაციის მიღებას ისურვებდა მეწარმეობის/სტარტაპის ხელშემწყობი სერვისების შესახებ, რომლებიც ბათუმში შეიძლება მიიღონ (56%), ასევე, უფასო ტრენინგებსა და სასწავლო კურსებზე (52%) და იმ ადგილებზე, სადაც სხვადასხვა სერვისის მიღებაა შესაძლებელი (51%)“.

უცხო ენების (72%), კომპიუტერული პროგრამებისა (46%) და პროგრამირების (44%) მიმართულებით ცოდნისა და უნარების შეძენა-გაღრმავებას ისურვებდნენ კვლევის მონაწილეები დასაქმების და უკეთ დასაქმების პერსპექტივის გაჩენის მიზნით. კონკრეტულად მეწარმეობის მიმართულებით ცოდნის შეძენა/დახვეწის სურვილს კი 28% გამოხატავს.

„ნარატივების“ კვლევის რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია ინოვაციების, მეწარმეობისა და სტარტაპის პოპულარიზაცია, რაც, თავის თავში მოიაზრებს, ცნობიერების ამაღლებას მათი რაობისა და მნიშვნელობის თაობაზე, ასევე, ინფორმირებას ყველა იმ სერვისის (პროგრამა, პროექტი, გრანტი, სასწავლო კურსი, სხვა) შესახებ, რომელთა მიღებაც ახალგაზრდებს ადგილზე შეუძლიათ.

კვლევის რეკომენდაციით, დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში ინტერესის გაღვივება ინფორმაციული და საკომუნიკაციო/ ინოვაციური ტექნოლოგიების, მეწარმეობისა და სტარტაპების შესახებ. რაც მომავალში გაზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს.

აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს ფრილანსერობის კულტურის დანერგვა-განვითარებასაც. ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიებით აღჭურვილ ახალგაზრდებს შესაძლებლობა

მიეცემათ თავად გადაწყვიტონ როგორ იმუშავებენ, თავად აირჩიონ დამქირავებელი, სამუშაო გრაფიკი ან პროექტი.

ამას გარდა, მნიშვნელოვანია, პროფორიენტაციის ხელშეწყობა და ახალგაზრდების გაძლიერება - დასაქმებისთვის საჭირო და კარიერული წინსვლის კომპეტენციების განვითარებისათვის. კვლევაში აღნიშნულია, რომ პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მქონე ჯგუფად *მშობლები* არიან მიჩნეულნი. კვლევის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სწორედ მშობლები ახდენენ გავლენას ახალგაზრდებზე კონკრეტული პროფესიის არჩევისას (70%).

აღნიშნულ საკითხზე, იგივე კვლევაში ვკითხულობთ შემდეგს: „ახალგაზრდები არ არიან ინფორმირებულნი პროფესიებთან დაკავშირებით და შესაბამის არჩევანს ზედაპირულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ან სულაც, მხოლოდ სხვების რჩევით ან ზეწოლით აკეთებენ. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც პროფესიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები უახლოეს მომავალში უნდა მიიღონ *(„...მეორე კურსზე ვიყავი გაცვლით პროგრამაზე და პირველად წავედი ესპანეთში... მაშინ ჩემს ლექციაზე იყო უამრავი სხვადასხვა პროფესიის ადამიანი; თითოეულს გვქონდა სხვადასხვა ბექგრაუნდი და ჩემთვის იყო შოკისმომგვრელი თუ რამდენი პროფესია შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელსაც შეიძლებოდა დავუფლებოდი“.)*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების მე-8 მიზანია დასაქმება და ეკონომიკური ზრდა, ამასთან საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, რომ 2030 წლისათვის გაუმჯობესდეს ახალგაზრდებისა და ზრდასრული პირების უნარ-ჩვევები ღირსეული დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის. [15]

ცხადია, დასაქმება თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, მაგრამ ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ნებაყოფლობითი უფლებამოსილებებია დასაქმების ხელშეწყობა და ახალგაზრდობის პოლიტიკის ხელშეწყობა, დასაქმების პრობლემის შესამცირებლად მუნიციპალიტეტს შეუძლია, არაფორმალური განათლებით, ახალგაზრდული საქმიანობითა და სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიებით, მათ შორის ახალგაზრდების უნარ-ჩვევების დახვეწისა და განვითარების მხარდამჭერი პროგრამებით, წვლილი შეიტანოს ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობაში.

2. ჯანსაღი ცხოვრების წესის გამოწვევა

[15] „საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა - მიწოდების შესაბამისობა“ ანგარიში 2020. ავტორები: ანასტასია ქიტიაშვილი, ნანა სუმბაძე

კვლევის[16] თანახმად, ცხოვრების ჯანსაღი წესი, ფასდება როგორც მნიშვნელოვანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავებულობის მაჩვენებელი დაბალია, კერძოდ, სპორტით/ფიზიკური აქტივობით გამოკითხული ახალგაზრდების - 81 % არ არის დაკავებული;

აღნიშნულ გამოწვევასთან დაკავშირებით, დაინტერესებულ მხარეებთან გამართულ თემატურ დისკუსიაზე აღინიშნა, რომ ქ. ბათუმში სპორტული სერვისებისა და წრეების მრავალფეროვანი შესაძლებლობებია, მათ შორის უბნებში მოწყობილია სპორტული მოედნები და დამონტაჟებულია ტრენაჟორებიც, არსებობს სარბენი სივრცე და მოწყობილია ველობილიკიც, მაგრამ სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე, ჯანსაღი ცხოვრების წესი მაინც პრობლემად რჩება, მიზეზებზე საუბრისას, ხაზი არაერთ ფაქტორს გაესვა, მათ შორის იმას, რომ ახალგაზრდები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის შესახებ, დისკუსიაზე ითქვა, რომ მოქმედი სპორტული სერვისების შესახებაც სათანადოდ არ ვრცელდება ინფორმაცია. გარდა ამისა, საკმარისად არ ხდება მასობრივი სპორტული ღონისძიებებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპორტი, ფიზიკური აქტივობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანის ჯანმრთელობას და უზრუნველყოფს დაავადებათა პრევენციას.

ამ მხვრივ, საქართველოში არსებული მდგომარეობა საგანგაშოა, მაგალითად, შეიძლება მოვიშველიოთ საქართველოს ჯანდაცვის სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც, მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდები დაავადებები).[17]

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა მსოფლიოში სიკვდილის გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთ წამყვან ადგილზეა. იგივე ორგანიზაციის რეკომენდაციაა, რომ 5-17 წლის ბავშვები და ახალგაზრდები დღეში მინიმუმ ერთსაათიანი, ხოლო 18 წელს ზევით - სულ მცირე 150 წუთიანი ყოველკვირეული საშუალო ან ინტენსიური ფიზიკური აქტივობით უნდა დაკავდნენ.

---

[16] https://drive.google.com/file/d/13LBxMnRuHV8uhVreHOVSyRybdlH0oMfX/view?pli=1

„ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე ბათუმის მუნიციპალიტეტი და აჭარის რეგიონი“, მომზადებულია კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითის“ მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისისთვის, 2021 წ.

[17] https://www.gov.ge/files/381_41659_568620_601-1040414.pdf

“სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი“ 2014-2020

არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა და სპორტით დაკავებულობის დაბალი მაჩვენებელი, პირველ რიგში არაჯანსაღი ცხოვრების წესთანაა დაკავშირებული, მათ შორისაა მავნე ნივთიერებების მოხმარებაც. საკითხი უამრავი კვლევის საგანი ყოფილა, მაგალითად, ამერიკელმა მკვლევარებმა გამოიყენეს 6 სახის ქცევა, რომლებიც იწვევენ ავადობას, სოციალურ პრობლემებს და ხშირად სიკვდილსაც. ესენია: თამბაქოს მოხმარება, არაჯანსაღი კვება, არაადეკვატური ფიზიკური აქტივობა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება, სქესობრივი ქცევა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები, ქცევა, რომელიც უბედური შემთხვევებისა და ძალადობის მიზეზით ხდება (US Centers for Disease Control and Prevention, 2011).

უკანასკნელი მასშტაბური კვლევა, ქართველ ახალგაზრდებში მავნე ნივთიერებების მოხმარების თაობაზე, 2015 წლის ნოემბერში ჩატარდა და იგი ასახულია ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევაში. მასში მონაწილეობა 190 სკოლის მე-10 კლასელებმა მიიღეს. კვლევის შედეგები საკმაოდ მძიმეა: თამბაქოს მოხმარება დაფიქსირდა გამოკითხულ მოსწავლეთა - 43 პროცენტში, მოსწავლეების 85%-მა აღნიშნა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლი, 11%-მა აღნიშნა, რომ ერთხელ მაინც აქვს გასინჯული მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი), მოსწავლეთა 4% -ს ერთხელ მაინც გაუსინჯავს ექსტაზი, 2% -ს სიცოცხლის განმავალობაში ერთხელ მაინც გაუსინჯავს ამფეტამინი და კოკაინი.

გაცილებით ადვილი და ეფექტურია ცხოვრების ჯანსაღი წესისა და უსაფრთხო ქცევის დანერგვა ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში, ვიდრე ქცევის შეცვლა მოზრდილ ასაკში. შესაბამისად, არაჯანსაღი ცხოვრების წესის პრევენცია ძალიან მნიშვნელოვანია.

დაინტერესებულ მხარეებთან გამართულ თემატურ დისკუსიაზე, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი რესურსების შესაძლებლობის ფარგლებში, პრობლემის შემცირება შეიძლება, მასობრივი სპორტის ხელშემწყობი ღონისძიებებისა და არსებული სპორტული სერვისების შესახებ ინფორმირებულობითა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციით. აღინიშნა ასევე, რომ არსებული მუნიციპალური სპორტული სერვისების შესახებ ინფორმაციის ჯეროვნად გავრცელების, სპორტისა და ფიზიკური აქტივობების ადამიანის ჯანმრთელობაზე პოზიტიური ზეგავლენის შესახებ ცნობიერების ამაღლების გარდა, სასურველია მასობრივი სპორტული ღონისძიებების გამრავალფეროვნებაც და ახალი სპორტული სახეობების შემოტანაც, რაც სპორტულ აქტივობებში ჩართულობას მიმზიდველს გახდის. გარდა ამისა, აუცილებელია, ახალგაზრდების ინფორმირებულობა და განათლება რეპროდუქციული და მენტალური ჯანმრთელობის შესახებ და ახალგაზრდების ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.

გაეროს მდგრადი განვითარების (2030) მე-3 მიზანი, სწორედ ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ დონეზე იღებს ვალდებულებას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაზე, რაც დასტურდება „მდგრადი

განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე“ [18]საქართველოს მთავრობის 2019 წლის 13 დეკემბრის № 2328 განკარგულებით.

სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდებში ამ მხვრივ შესაძლებლობების შექმნისა და სპორტით დაკავებულობის მაჩვენებლების გაზრდისა თუ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, მათ შორის დაავადებათა პრევენციის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდისა და ადრეული ქორწინების რისკების შესამცირებლად, აუცილებელია სხვადასხვა ინტერვენციისა და ღონისძიების განხორციელება.

3. მონაწილეობის გამოწვევა

კვლევით [19] გამოკვეთილ გამოწვევებს შორის, ძალიან დაბალია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის მაჩვენებელი, კვლევის მიგნებებში ვკითხულობთ, რომ ბოლო 1 – 2 წლის (2019-2020) გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოკითხული ახალგაზრდების 3 % აქვს მიღებული მონაწილეობა. დაინტერესებულ მხარეებთან აღნიშნული პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, დასახელდა სხვადასხვა ხელშემშლელი ფაქტორი, მათ შორის დაბალი სამოქალაქო აქტივიზმი, მონაწილეობის მნიშვნელობის არცოდნა, მონაწილეობის სურვილის არქონა, მოხალისეობის ინსტიტუტის არარსებობა, მონაწილეობის პოზიტიური მაგალითების ნაკლებობა, მონაწილეობის ფორმების არცოდნა, კომუნიკაციის არ ქონა, ახალგაზრდებთან ერთად გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის არ არსებობა. მონაწილეობისთვის მდგრადი მექანიზმების არ არსებობა, ახალგაზრდებთან კონსულტაციისა და ჩართვის გარეშე შედგენილი ახალგაზრდული და სხვა პროგრამები, ნიჰილიზმი.

პრობლემის დაინტერესებულ მხარეებთან განხილვისას, ითქვა ისიც, რომ მონაწილეობის პრობლემის მიზეზები შესაძლოა საჯარო პოლიტიკის გამჭვირვალობაში, ღიაობის ხარისხსა და დამოკიდებულებებშიც ვეძიოთ.

---

[18] მდგრადი განვითარების ეროვნული დოკუმენტი, [18]საქართველოს მთავრობის 2019 წლის 13 დეკემბრის № 2328 განკარგულებით.

[19]https://mooc.youthagency.gov.ge/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98/

„ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა

მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე ბათუმის მუნიციპალიტეტი და აჭარის რეგიონი“, მომზადებულია კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითის“ მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისისთვის, 2021 წ.

დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებით, დაბალი მონაწილეობის მიზეზები, ახალგაზრდებში სამოქალაქო კომპეტენციების არარსებობასა და დაბალ სამოქალაქო ცნობიერებასა თუ პასუხისმგებლობაშიც უნდა ვეძიოთ.

დისკუსიებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეობით დაინტერესების პრობლემა ყველა ახალგაზრდასთან მიმართებაში თითქმის ერთნაირად დგას. მნიშვნელობა არ აქვს, ახალგაზრდა მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს თუ ეკონომკურად ძლიერ ფენას მიეკუთვნება, მაგრამ რეალურად, მონაწილეობის დაბალი ხარისხი ან მისი არ არსებობა, ყველაზე ცუდად მაინც მოწყვლად ჯგუფებზე აისახება, ვინაიდან არასათანადო მონაწილეობის პირობებში, არ ჟღერდება მოწყვლადი ახალგაზრდების ხმა და მათ წინაშე მდგარი საჭიროებები.

გამოწვევის მიზეზად, წახალისების საჭიროებებიც იქნა განხილული, კერძოდ საუბარი შეეხო იმას, რომ ახალგაზრდებს სჭირდებათ გარე მოტივაცია და შთაგონება იმისთვის, რომ დაინტერესდნენ და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასეთი გარემოს შექმნაში კი დიდი წვლილი მაღალი პასუხისმგებლობის მქონე სამოქალაქო საზოგადოებას შეაქვს. თუმცა, ისიც ითქვა, რომ ბათუმის მაგალითზე, თვითმმართველობის კოდექსში დეკლარირებულ მონაწილეობის ფორმებს მოქალაქეები თითქმის არ იყენებენ. შესაბამისად, ახალგაზრდებს ირგვლივ ცოტა ჰყავთ აქტიური მოქალაქის როლური მოდელები და მაგალითები.

დაინტერესებულმა მხარეებმა საკითხზე მსჯელობისას, ხაზი არასაკმარისი არაფორმალური განათლების შესაძლებლობებსაც გაუსვეს და თქვეს, რომ ერთ-ერთი მიზეზი სწორედ არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლებობაში და ხელმისაწვდომობაშია, რომლის საკმარისად არსებობა ხელს შეუწყობდა ახალგაზრდებში მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას და სამოქალაქო თვითშეგნების, პასუხისმგებლობისა და ცნობიერების გაზრდას.

როგორც კვლევაში, ისე დისკუსიებში, პრობლემის წარმომავლობის მიზეზებს შორის დასახელდა ნიჰილიზმის ფაქტორიც, რასაც ძირითადად, საჯარო განხილვების დროს დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარებული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა აჩენს. ამის მტკიცებულებად, დისკუსიებზე ითქვა, რომ გარკვეული პროექტების დაინტერესებულ მხარეებთან განხილვებს სიმბოლურ სახე აქვს.

ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა კი, აუცილებელია დემოკრატიული, ინკლუზიური და წარმატებული საზოგადოების მშენებლობისთვის. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე.

ახალგაზრდული სფეროს მკვლევარები და ახალგაზრდული მუშაობის პრაქტიკოსები აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდობის მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რადგან ეს ერთის მხრივ,

ახდენს პოზიტიურ ცვლილებას ახალგაზრდების ცხოვრებაზე, პარარელურად, იძენენ საჭირო უნარებს და თავდაჯერებულობას, ახალგაზრდებს აძლევს სტიმულს აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებებზე, ეხმარება მათ, გაიგონ როგორ მუშაობს დემოკრატია პრაქტიკაში, ახალგაზრდებს, მონაწილეობისას, ეძლევათ სივრცე და პლატფორმა, გამოიყენონ მათი ნიჭი და უნარები საზოგადოების სასარგებლოდ, ის ასევე ეხმარება უფროსებს გაიგონ ახალგაზრდების საჭიროებები და მათი შეხედულებები და ბიძგს აძლევს ახალი იდეების ჩამოსაყალიბებლად, საზოგადოების და ქვეყნის განვითარებისთვის.

საქართველოში ჩატარებული „ახალგაზრდული სფეროს კვლევის" (საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი, 2011 წ) თანახმად, შეკითხვაზე: „როგორი ფორმით სურთ ახალგაზრდებს იყვნენ ჩართულები ახალგაზრდულ სფეროში და ზოგადად საზოგადოებრივ საქმიანობაში?", „ახალგაზრდების ინიციატივა და მართვა ახალგაზრდების მიერ" 26,8%-ით შეფასდა, როგორც ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ფორმა, როდესაც ახალგაზრდები იჩენენ ინიციატივას და თავიდან ბოლომდე დამოუკიდებლად მართავენ და ახორციელებენ პროექტებს.

„ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“ ევროპული ქარტიის [20] თანახმად, „ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილების მიღებასა და ღონისძიებების განოხრციელებაში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია დემოკრატიული, ყოვლისმომცველი და წარმატებული საზოგადოების ასაშენებლად. მიუხედავად არჩევნებში მოქალაქეების მონაწილეობისა, დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობა უფრო მეტია, ვიდრე არჩევნებში ხმის მიცემით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. მონაწილეობა და მოქალაქოებრივი აქტივობა გულისხმობს უფლებების, საშუალებების, სივრცისა და შესაძლებლობათა ქონას, საჭიროების შემთხვევაში კი, მონაწილეობაში მხარდაჭერასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაბმას, უკეთესი საზოგადოების შექმნის მიზნით”.

ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მოხალისეობა და იგი, როგორც სამოქალაქო ჩართულობის ერთ-ერთი ფორმა, თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი მდგენელია, რომელიც ხელს უწყობს აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, სოლიდარობისა და სოციალური ერთობის გაძლიერებას. მოხალისეობას ახალგაზრდულ საქმიანობაში, ნებაყოფლობით საქმიანობასთან ერთად, საგანმანათლებლო დანიშნულებაც აქვს, რომელიც ახალგაზრდებს განვითარების ფართო სპექტრს სთავაზობს:

---

[20] https://droa.ge/?p=41988

“ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპულ ქარტია“ მიღებულია ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის (CLRAE) მიერ (მე-10 სესია, 2003 წლის 23 მაისი, 128-ე რეკომენდაციის დანართი)

მოხალისეობა ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, საკუთარი ოჯახის, სკოლისა და თანატოლთა წრის მიღმა, განსხვავებული პერსპექტივიდან შეხედონ და გაიცნონ საზოგადოება; ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებს მოხალისეობრივი საქმიანობა ზრდასრულ ადამიანებთან ერთად უწევთ, ამიტომ ეს პროცესი ხელს უწყობს თაობათაშორის დიალოგს; ხელს უწყობს მენტალურ ჯანმრთელობას და ამცირებს დეპრესიის რისკს, რადგან, როგორც კვლევები ადასტურებს, სიკეთის უანგაროდ კეთება, სხვების დახმარება, ადამიანში დადებით ემოციებს იწვევს და ხელს უწყობს ზოგად ემოციურ კეთილდღეობას.

„ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“ ევროპულ ქარტიაში მოცემულია ახალგაზრდების მონაწილეობის ის ძირითადი ინსტრუმენტები, რისი გამოყენებაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ინსტრუმენტებია: სასწავლო სემინარები ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ; ახალგაზრდების ინფორმირება; ახალგაზრდების მონაწილეობის წახალისება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით; ახალგაზრდების პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერა; ახალგაზრდული ორგანიზაციების წახალისება; ახალგაზრდული საბჭო ან ახალგაზრდული პარლამენტი; ახალგაზრდული ფორუმი; ახალგაზრდების წახალისება ნებაყოფლობით და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობისთვის.

იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაბალია და მეორეს მხვრივ, მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენს ახალგაზრდების მონაწილეობა და ახალგაზრდების ხმის გაჟღერება და ახალგაზრდების გაგება, ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გასაზრდელად აუცილებელია ამ მხვრივ მუნიციპალიტეტმა დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის საინფორმაციო კუთხით და მდგრადი მექანიზმების დანერგვით.

4. ინფორმირებულობის გამოწვევა

კვლევით გამოკვეთილ გამოწვევებს შორის მწვავედ დგას ინფორმირებულობის საკითხიც. კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 28 %-ს სმენია მუნიციპალური ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რაც რა თქმა უნდა ძალიან დაბალი მაჩვენებელია და მისი სიღრმისეული გაანალიზების შედეგად, მათ შორის დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით თემატურ ჯგუფში გამართულ დისკუსიაზე, აღნიშნული პრობლემის გამომწვევი არაერთი მიზეზი გამოიკვეთა და დასახელდა.

მუნიციპალური ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებისთვის გაწეული ძალისხმევა არასაკმარისია, მაგალითად, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, არ ეწყობა ხშირი შეხვედრები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის, ასევე, ახალგაზრდები

საკმარისად არ არიან ჩართულნი ახალგაზრდული პროგრამების დაგეგმვისა და განხილვის პროცესში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ახალგაზრდების ინფორმირებულობას.

დისკუსიებზე აღინიშნა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტში არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ინფორმაცია ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ და დაინტერესებული ახალგაზრდები ერთი ფანჯრის პრინციპით შეძლებდნენ მათთვის საინტერესო, საჭირო და სასურველი ინფორმაციის მიღებას.

მიზეზებს შორის დასახელდა, არასაკმარისი თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის სამსახურებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. აღინიშნა, ასევე ისიც, რომ სათანადოდ არ გამოიყენება ციფრული მედიასაშუალებების არსებული შესაძლებლობები.

„ნარატივების“ კვლევამ გამოკვეთა ის ძირითადი საინფორმაციო წყაროები, რის მეშვეობითაც იღებენ ახალგაზრდები ინფორმაციას, ბათუმში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენის (მუნიციპალური პროგრამები, სერვისები, სიახლეები, დაგეგმილი ღონისძიებები) შესახებ, მათ შორისაა: სხვადასხვა FB გვერდი (65%), მერიის FB გვერდი (29 %), სოციალური კაპიტალი (49 %), ადგილობრივი ტელევიზია (29 %), სასწავლო დაწესებულებები (25%).

კვლევამ ასევე, აჩვენა, რომ 16 წლამდე მოზარდები უმეტესწილად Tik-Tok-ს, Instagram-სა და Yotube არხებს ანიჭებენ უპირატესობას. რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ახალგაზრდებთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიწოდების კუთხით, სხვადასხვა არხი უნდა იქნეს გამოყენებული.

ინფორმირებულობის პრობლემა თავის მხვრივ ახალგაზრდების მონაწილეობასა და ჩართულობაზეც ახდენს ზეგავლენას.

ახალგაზრდების არაინფორმირებულობისა და ნაკლებ ინფორმირებულობის მიზეზი კავშირშია ასევე ახალგაზრდული საქმიანობის ხელმისაწვდომობისა და პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკების ინსტიტუტის არ არსებობასთანაც, ვინაიდან და რადგანაც ამ უკანასკნელის თაობაზე, საზოგადოება და ადგილობრივი თუ სახელმწიფო ორგანიზაციები სათანადოდ არ არის ინფორმირებული ახალგაზრული მუშაკების საქმიანობის მნიშვნელობისა და სარგებლიანობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია საინფორმაციო ღონისძიებების გამრავალფეროვნება და სხვადასხვა ღონისძიების გატარება, ახალგაზრდების ინფორმირებულობის კუთხით.

5. ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური განათლების სერვისების ხელმისაწვდომობის პრობლემა

კვლევით გამოკვეთილ პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა არაფორმალური განათლების მიღების არასაკმარისი შესაძლებლობებია, რაც ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა და განათლებისთვის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია. მისი დანაკლისი კი, ახალგაზრდებს მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა რეალურად, დღესდღეობით, ფორმალური განათლება ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდებში იმ საჭირო უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარებას, რაც დაეხმარება მათ პიროვნულ, სოციალურ, სამოქალაქო თუ ეკონომიკურ განვითარებასა და შესაძლებლობების რეალიზებაში.

დაინტერესებულ მხარეებთან გამართულ დისკუსიებზე აღინიშნა, რომ არაფორმალური განათლების საჭიროება ყველა ახალგაზრდისთვის მნიშვნელოვან საჭიროებას და აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ მისი საჭიროება, კიდევ უფრო მწვავედ დგას იმ ახალგაზრდების წინაშე, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ მაღალი ხარისხის ფორმალურ, სკოლისგარეშე და ჰობი განათლების სერვისებზე. რომელთა ოჯახებშიც მძიმე სოციალური მდგომარეობა და ბავშვისა და ახალგაზრდის განვითარებისთვის შეუსაბამო პირობებია, რომელთა მშობლებსაც არ აქვთ საკმარისი დრო, ფინანსები და პირობები შვილების განვითარებაზე სათანადო ზრუნვისა და შვილებთან სრულფასოვანი ურთიერთობებისთვის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ბევრი ისეთი პრობლემა, რაც პირდაპირკავშირშია არაფორმალური განათლების დეფიციტთან, მაგალითად, ავიღოთ ზემოთ უკვე განხილული დასაქმებისა თუ მონაწილეობის გამოწვევა. შეიძლება ითქვას, რომ არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის პირობებში, ახალგაზრდებს დასაქმების გამოწვევასთან გამკვლავების მეტი შესაძლებლობა ექნებოდათ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის შედარებით მაღალი ინტერესი და მოთხოვნილება ექნებოდათ, რასაც არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სამოქალაქო და დემოკრატიის საკითხების ცოდნა გაუჩენდა მათ.

კვლევის თანახმად, ახალგაზრდების 45%-ს ბათუმში, პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს, ამასთან ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ იგივე კვლევის მიხედვით, ბათუმში გამოკითხული 200 ახალგაზრდისგან, პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული ინტერესების ჩამონათვალიდან, მხოლოდ და მხოლოდ 18%-ია დაინტერესებული ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობით, ხოლო კიდევ უფრო ნაკლები, 16% ნატოსთან საქართველოს ურთიერთობით. აღნიშნული მოცემულობა კი ნამდვილად არ არის სახარბიელო, ვინაიდან ახალგაზრდების

აქტიურობა, მზაობა და დაინტერესება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ახალგაზრდები მნიშვნელოვანი აქტორები უნდა იყვნენ ამ პროცესში და მომავალში სხვადასხვა სექტორიდან ხელი უნდა შეუწყონ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, ევროპული სტანდარტების დანერგვას და დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობების გავრცელებას.

კვლევების შედეგებში, განსაკუთრებულ გამოწვევად გამოიკვეთა ახალგაზრდების დაბალი სამოქალაქო აქტივიზმი (3%), რაც, ერთი მხრივ ნიჰილიზმით, მეორეს მხრივ კი, დაბალი ცნობიერებითა და სტერეოტიპული დამოკიდებულებებით აიხსნა („ნარატივების“ კვლევა, „ეისითი“, 2022). ბათუმის მუნიციპალიტეტში დაბალი სამოქალაქო აქტივობის მთავარ მიზეზად მისი მნიშვნელობის ნაკლები გაცნობიერება დასახელდა (40%). აქვე აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა მეხუთედის შეფასებით, მიზეზი ისაა, რომ ახალგაზრდებმა არ იციან, როგორ ჩაერთონ სამოქალაქო აქტივობაში (18%).

ბათუმის მუნიციპალიტეტში ათიდან ექვსი გამოკითხული ახალგაზრდა თვლის, რომ მისი უფლებები დაცულია (61%), ხოლო მესამედი მიიჩნევს, რომ მათი უფლებები ნაწილობრივაა დაცული (31%), თუმცა შეკითხვაზე, რომელი უფლებების შესახებ სმენიათ ახალგაზრდებს, აღმოჩნდა, რომ აჭარის რეგიონში კვლევის მონაწილე ახალგაზრდების 23%-ს უჭირს დაასახელოს რომელიმე უფლება მაინც, რომლის შესახებაც სმენია. რაც, იმაზე მიუთითებს, რომ ახალგაზრდებს საკმარისი ცოდნა არ გააჩნიათ ადამიანის უფლებების შესახებ.

იგივე კვლევის მიხედვით კი, 2020-21 წლებში ახალგაზრდების 86 %-ს არცერთ სამოქალაქო აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა. ცხადია, სამოქალაქო აქტივიზმით დაინტერესება და ჩართულობა, დაკავშირებულია ახალგაზრდების მაღალი სამოქალაქო თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებასთან, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ახალგაზრდებში სამოქალაქო კომპეტენციების ამაღლების კუთხით. ადამიანის უფლებების არცოდნა ან არასაკმარისად ცოდნაც, დაკაშირებულია სამოქალაქო განათლების ნაკლებობასთან, ვინაიდან, თუ ახალგაზრდები საკმარისად არ იქნებიან ინფორმირებულნი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებათა შესახებ, ცხადია, მათი სამოქალაქო აქტივიზმის დონე დაბალი იქნება და არ ექნებათ უფლებათა დარღვევაზე შესაბამისი რეაგირება და უფლებათა დაცვის შესაძლებლობა.

არაფორმალური განათლების არასაკმარის შესაძლებლობებზე მიუთითებს, სპორტითა და ფიზიკური აქტივობით დაკავებულობის დაბალი მაჩვენებელიც, ხელმისაწვდომი არაფორმალური განათლების შესაძლებლობების შემთხვევაში, ახალგაზრდების ცნობიერება, ცოდნა, დამოკიდებულებები და უნარჩვევები ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ იცვლება და ვითარდება.

არაფორმალური განათლების ნაკლები შესაძლებლობები, დიდწილად ახალგაზრდული საქმიანობის სერვისების არ არსებობასა და არსებული ახალგაზრდული საქმიანობის სერვისების სიმწირეში და დაბალ ხარისხში მდგომარეობს. რადგან, არაფორმალური განათლება, ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და ახალგაზრდული საქმიანობა არაფორმალურ განათლებაზე დგას. „ზოგადად, ახალგაზრდული საქმიანობა თავისი არსით გულისხმობს ახალგაზრდებთან არაფორმალურ საგანმანათლებლო საქმიანობას და ამ კუთხით სერვისების შექმნასა და უზრუნველყოფას“.

„ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტის“ [21] მიხედვით, „ახალგაზრდული საქმიანობა ქმნის კომფორტულ, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს, რომელშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ ერთმანეთისგან და განვითარდნენ. ახალგაზრდულ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალურ განათლებას. არაფორმალური განათლება არის ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი, ნებაყოფლობითი პროგრამა, რომელიც არ არის ფორმალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და მიზნად ისახავს კომპეტენციების (ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების) განვითარებას“.

თუ რა კომპეტენციების განვითარებაა შესაძლებელი არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის მეშვეობით, ამის შესახებ „ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტში“[22] აღნიშნულია, რომ იგი ეფუძნება „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის საკვანძო კომპეტენციების შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითრების ორგანიზაციის „საკვანძო კომპეტენციების განსაზღვრისა და შერჩევის დოკუმენტს”.[23]

---

[21] https://youthplatform.gov.ge/storage/8/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%9D_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A9%E1%83

[22] https://youthplatform.gov.ge/storage/8/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%9D_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%9D_%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98_2016_%28%E1%83%A1....pdf

“ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი”

[23] https://old.eqe.ge/res/docs/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1.pdf

„ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტის“ თანახმად, „ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო მოიცავს 9 კომპეტენციას, ესენია: 1. მოქალაქეობრივი კომპეტენცია 2. გარემოსდაცვითი კომპეტენცია 3. ანალიტიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სამეცნიერო კომპეტენცია 4. სამეწარმეო და ინიციატივის კომპეტენცია 5. შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია 6. დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია 7. ურთიერთობის კომპეტენცია 8. კულტურული გამოხატვის და კულტურათშორისი ურთიერთობის კომპეტენცია 9. ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია”.

აღნიშნული კომპეტენციების ფლობა, ახალგაზრდებს მუდმივად ცვალებად, კომპლექსურ და ურთიერთდამოკიდებულ გარემოსთან ადაპტაციის შესაძლებლობას მისცემს. გარდა ამისა, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერება და ქმედება თანხვედრაში მოვიდეს გაეროს მდგრადი განვითარების (2030) მიზნებთან და ახალგაზრდები ჩართულნი იყვნენ მისი შესრულების პროცესებში და მომავალში უზრუნველყოფილნი იყვნენ ყველა იმ სიკეთეებით, რასაც ისახავს მიზნად აღნიშნული მიზნები. აღნიშნული კომპეტენციების განვითარებისთვის ხელშემწყობი საქმიანობის განხორციელება, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების პიროვნულ, პროფესიულ, სოციალურ, ეკონომიკურ, მოქალაქეობრივ, დემოკრატიულ და ჰუმანურ განვითარებას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და მომავალში, დემოკრატიულ და ევროპულ ღირებულებებსა და სტანდარტზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც საერთო ჯამში, დადებითად აისახება სოციუმის კეთილდღეობაზე.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობისთვის საჭიროა გამართული ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და კვალიფიციური ადამიანური რესურსი, რომელსაც ამ სფეროში ახალგაზრდული მუშაკები წარმოადგენენ. ამ თემაზე გამართულ დისკუსიაზე, ითქვა, რომ „მაღალი ხარისხის არაფორმალური განათლება და ახალგაზრდული საქმიანობა, წარმოუდგენელია, კვალიფიციური ახალგაზრდული მუშაკების გარეშე, ვინაიდან მათ გარეშე გაწეული ახალგაზრდული საქმიანობა და არაფორმალური განათლების სერვისები ნაკლებ ეფექტურია, ამიტომ ამ თვალსაზრისით, საჭიროა ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა.“

ახალგაზრდული საქმიანობის არსებობა საქართველოში ათეულ წლებს ითვლის, თუმცა ახალგაზრდული მუშაკი, როგორც პროფესია, ახალია და საჭიროებს მოკლე დროში დანერგვას. „ზოგადად ახალგაზრდული საქმიანობა მიიჩნევა ახალგაზრდების პიროვნული განვითარების, სოციალური ინტეგრაციისა და აქტიური მოქალაქეობის ინსტრუმენტად. ახალგაზრდული საქმიანობა არის ”საკვანძო სიტყვა” ახალგაზრდებთან დაკავშირებული ნებისმიერი

„საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის“ ევროპული ჩარჩო ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები, ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი.

სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო ან პოლიტიკური ხასიათის საქმიანობისთვის. იგი მიეკუთვნება „სკოლისგარეთა“ განათლების სფეროს, რომელიც უფრო ხშირად მოიხსენიება, როგორც არაფორმალური ან ფორმალურს გარე სწავლება. ახალგაზრდული საქმიანობის მთავარი მიზანია, შეუქმნას ახალგაზრდებს საკუთარი მომავლის ფორმირების შესაძლებლობები“[24].

ახალგაზრდული მუშაკი არაფორმალური და ფორმალურს გარე განათლების მეთოდების გამოყენებით ახალგაზრდებს იმ უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში ეხმარება, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის. ახალგაზრდული მუშაკი არის პირი, რომელიც ახორციელებს ახალგაზრდულ საქმიანობას, მუშაობს ახალგაზრდებთან სხვადასხვა ტიპის არაფორმალურ გარემოში და როგორც წესი, მიზნად ისახავს ინდივიდუალური ან/და ჯგუფურ აქტივობებში ახალგაზრდების ნებაყოფლობით ჩართვის გზით მათი პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშეწყობას.[25]

„ევროპის საბჭოს ახალგაზრდული საქმიანობის პორტფელიო“ [26] , განსაზღვრავს ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციებს, იმას თუ რა უნდა იცოდნენ ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართულმა ადამიანებმა, რისი გაკეთება უნდა შეეძლოთ მათ, რა დამოკიდებულება და ღირებულებები უნდა ჰქონდეთ და რას ცვლიან ისინი თავიანთი ახალგაზრდული საქმიანობით ახალგაზრდებისთვის.

ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური განათლების მეშვეობით შესაძლებელი იქნება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების [27] შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და მიზნების მიღწევისთვის ახალგაზრდებში შესაბამისი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნების მიღწევას საქართველო პრიორიტეტად აღიარებს. [28]

---

[24] „ახალგაზრდული საქმიანობის მახასიათებლები“ ევროპის საბჭოს განმარტება

https://www.coe.int/ka/web/youth-portfolio/youth-work-essentials

[25] *Recommendation CM/Rec(2017)4 of the Committee of Ministers to member States on youth work*

[26] Council of Europe Youth Work Portfolio, A TOOL FOR THE ASSESSMENT AND DEVELOPMENT OF YOUTH WORK COMPETENCE

[27] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია[27] – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“

[28] „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის №2328 განკარგულება

სხვადასხვა კვლევის მონაცემებით საქართველოში NEET (განათლების, ტრენინგისა და დასაქმების მიღმა მყოფი ახალგაზრდები) ახალგაზრდების რაოდენობა 20%-ს აღემატება, საქართველოში კი არ არსებობს ინსტიტუცია, რომელიც NEET ახალგაზრდების საჭიროებებზე იმუშავებდა, დაინტერესდებოდა მათი სოციალური კონტექსტით, გაარკვევდა მიზეზებს თუ რამ განაპირობა მათი ამ მდგომარეობამდე მოყვანა, ასეთი ანალიზი სახელმწიფოს არ აქვს, შესაბამისად, არ არსებობს გეგმა, როგორ შეიძლება შევამციროთ მათი რაოდენობა ქვეყანაში. NEET ახალგაზრდებთან მუშაობა უნდა წარიმართოს ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური განათლების მეშვეობით, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ახალგაზრდული მუშაკები და განსაკუთრებით მობილური ახალგაზრდული მუშაკები. მობილური ახალგაზრდული მუშაკი აღჭურვილია ველზე მუშაობის მეთოდებით, აქვს ცოდნა არაფორმალური განათლების მიმართულებით, ფლობს საჭირო კონტაქტებს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს ახალგაზრდების გადამისამართებას კომპეტენტურ პირთან ან ორგანიზაციასთან. მობილური ახალგაზრდული მუშაკის სერვისის მასობრივად დანერგვა და ამ საქმის ინსტიტუციონალიზაცია მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს NEET ახალგაზრდების რაოდენობის შემცირებას. (NEET ახალგაზრდები საქართველოში, აუდიოპუბლიკაცია, ავტორი: გიორგი ედიშერაშვილი).

ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებისა და არაფორმალური განათლების მიღების დაბალი შესაძლებლობა წარმოადგენს საფრთხეს, რომ მომავალშიც საქმე გვექნება იგივე პრობლემებთან, დაბრკოლებებთან და რთულ გამოწვევებთან, რომლის წინაშეც დღეს იმყოფებიან ახალგაზრდები. რაც რა თქმა უნდა ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაზეც უარყოფით ასახვას ჰპოვებს და სოციალური თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტს პრობლემას გააჩენს. შესაბამისად, საჭიროა გატარდეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობისა და შესაძლებლობების გაფართოების, ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებისა და ახალგაზრდული მუშაკების სერვისის დანერგვის ხელშეწყობის კუთხით.

6. ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების საჭიროება

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოვლენილ გამოწვევებს შორის იკვეთება ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების საჭიროებაც, აღნიშნული მიმართულებით, დგინდება რომ ბათუმში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წინაშე დგას მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და არასაკმარისი ფინანსების პრობლემები, ახალგაზრდული ორგანიზაციების შექმნით დაინტერესებულ და უკვე არსებულ ორგანიზაციებში კი, დასაქმებული პირების კვალიფიკაციისა და საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საკმარისი სივრცის არქონის გამოწვევაც. თემატურ დისკუსიაზე აღნიშნული გამოწვევის იგივე მიზეზები დასახელდა, მათ შორის ისიც რომ სათანადო მხარდაჭერა და ხელშეწყობა არ ხდება ახალგაზრდული

ორგანიზაციების შექმნის, არსებულის შედეგიანად ფუნქციონირების, სივრცეებისა და ფინანსების გამოყოფის თვალსაზრისით.

ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ახალგაზრდობის სფეროს, ახალგაზრდებისა და ქვეყნის დემოკრატიულ და ეკონომიკური განვითარებაზე, ასევე, ახალგაზრდების საზოგადოებრივ, სოციალურ, სამოქალაქო ჩართულობასა და ცვლილებების ინიცირებაზე, ახალგაზრდული ორგანიზაციების არსებობას და ფუნქციონირებას სერიოზული დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია.

როგორც წესი, ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის მიზნებია ახალგაზრდების დემოკრატიული და სოციალური უფლებების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა; საზოგადოების ცხოვრების ყველა დონეზე ახალგაზრდების სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობის წახალისება და პერსონალური და სოციალური განვითარების შესაძლებლობების შეთავაზება ადვოკატირების, ნებაყოფლობითი ჩართულობისა და არაფორმალური გზით. [29] შესაბამისად, ახალგაზრდული ორგანიზაციების სიმრავლე და ხარისხიანი საქმიანობა, ხელს უწყობს ახალგაზრდული სფეროს და ამ სფეროში არსებული გამოწვევების ადვოკატირებას, მხარდაჭერას და სფეროს განვითარებას. შესაბამისად, საჭიროა ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფუძნებისა და არსებულის გაძლიერების ხელშეწყობა.

ახალგაზრდული ორგანიზაციების შექმნით ახალგაზრდებიც არიან დაინტერესებული, თუმცა მათ არ აქვთ საკმარისი ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ შექმნან და ჩამოაყალიბონ ორგანიზაცია, როგორ უზრუნველყონ ორგანიზაციის საქმიანობა და ფუნქციონირება, მოიპოვონ საქმიანობისთვის საჭირო ფინანსები და მოიძიონ სამუშაო სივრცე. რაშიც, ახალგაზრდები და საინიციატივო ჯგუფები მხარდაჭერას და ხელშეწყობას საჭიროებენ.

განხილული პრობლემები ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენენ ახალგაზრდების განვითარებაზე და ვინაიდან ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაა, განხილული გამოწვევების საპასუხოდ მუნიციპალიტეტი თავისი შესაძლებლობების ფარგლეში უზრუნველყოფს საპასუხო ღონისძიებების გატარებას.

7. ახალგაზრდული სივრცეების პრობლემა

კვლევით გამოიკვეთა, ახალგაზრდულ სივრცეებზე ხელმისაწვდომობის პრობლემაც, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა მიზეზთან, მათ შორის: ქალაქში არ არის საკმარისი სივრცეები, რომელსაც ახალგაზრდები უსასყიდლოდ გამოიყენებენ, შეძლებენ თავიანთი იდეების

[29] youth civil society in 1997

სხვებისთვის გაზიარებას, თავისუფლად შეიკრიბებიან და რომლის ბაზაზეც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღებაც. ამასთან, არსებული სივრცეების შესახებ, არ არსებობს ერთიანი, ხელმისაწვდომი რეესტრი და მოქმედი სივრცეები არ არის მორგებული ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებზე და არ არის სრულად ადაპტირებული. გარდა აღნიშნულისა, არსებული სივრცეები არ არის მიმზიდველი თანამედროვე ახალგაზრდებისთვის, რადგან არსებულ სივრცეებში აკადემიური და ოფიციალური გარემოა და ამასთან ინტერიერი და შენობები საჭიროებს გათანამედროვეობას და რეაბილიტაციას.

„ნარატივების" კვლევის ფარგლებში, შედგა ქ. ბათუმში არსებული სივრცეების, მათ შორის თავისუფალი სივრცეების რუკა, ესენია: ამერიკული კუთხე, ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრი, ტექნოპარკი ბათუმი და რამდენიმე კერძო საერთო სამუშაო სივრცე (Co-working space). კვლევის მიხედვით, სივრცეებთან მიმართებაში იკვეთება, სივრცეების არსებობისა და აღნიშნული სივრცეების დანიშნულებისა თუ სერვისების შესახებ ახალგაზრდების არაინფორმირებულობა და დაბალინფორმირებულობა. კვლევის მონაწილე ახალგაზრდებისგან სივრცეებში ვიზიტის გამოცდილებასთან მიმართებაში, 44% არ არის ნამყოფი არცერთ სივრცეში, 48 % არ არის ინფორმირებული არსებული სივრცეების შესახებ. აღნიშნული, ცხადია ძალიან მაღალი მაჩვენებელია და საჭირო რეაგირებას მოითხოვს.

საკმარისი ახალგაზრდული სივრცეების არ არსებობის მრავალ მიზეზთაგან, თემატურ დისკუსიაზე განხილული იქნა ახალგაზრდული ორგანიზაციების სიმცირეც, ახალგაზრდების მონაწილეობისა და აქტიურობის დაბალი მაჩვენებელიც. ახალგაზრდული ცენტრები და სივრცეები, საერთაშორისო გამოცდილებით ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის მთავარ ინფრასტრქუტურას წარმოადგენს. ახალგაზრდულ სივრცეებზე ხელმისავწდომობის პრობლემა ნიშნავს არაფორმალური განათლების შესაძლებლობების ნაკლებობასაც და ახალგაზრდებში დანაშაულის, მავნე ჩვევებისა და დამოკიდებულებების მომატებასა და პრევენციის არ არსებობასაც, ვინაიდან ახალგაზრდული სივრცეებისა და მის ბაზაზე არაფორმალური და ჰობი განათლების სერვისების არ არსებობა, ნიშნავს, რომ ახალგაზრდების თავისუფალი დრო არაორგანიზებულად და არარაციონალურად იხარჯება.

ახალგაზრდული სივრცე, ეს არის ადგილი, სადაც ახალგაზრდებს არაფორმალურ გარემოში ერთმანეთთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლევათ. ეს არის მათდამი კეთილგანწყობილი გარემო, სადაც ისინი იკრიბებიან, ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობას, მონაწილეობას იღებენ კულტურულ-შემოქმედებით, საგანმანათლებლო, სპორტულ, გარემოსდაცვით და სხვა ხასიათის ღონისძიებებში, შესაძლებლობა აქვთ განივითარონ ძირითადი კომპეტენციები, გაცვალონ და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილებები და ცოდნა.[30]

[30] მასიური ღია ონლაინ კურსი: III მოდული, გუბაზ კობერიძე 2021

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების ფარგლებში აუცილებელია გაიზრადოს თავისუფალ და ახალგაზრდულ სივრცეებზე ხელმისაწვდომობა, შესაბამისად, ამ მხვრივ საჭიროა სხადასხვა ღონისძიების განხორციელება და გატარება.

6.სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგია მომზადდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისა და სსიპ ,,ახალგაზრდობის სააგენტოს“ პარტნიორობის შედეგად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტსა და სსიპ ,,ახალგაზრდობის სააგენტოს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.

სტრატეგია ითვალისწინებს ქ. ბათუმში 14-29 წლის ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის შედეგად გამოვლენილ საკითხებს და ემსახურება მათზე რეაგირებას.

სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ფაზებსა და პროცედურებს:

- ჩატარდა ქ. ბათუმში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა და მათი ანალიზი;
- მომზადდა სამაგიდე კვლევა, ქ. ბათუმში ახალგაზრდების განვითარებისთვის არსებული შესაძლებლობების შესახებ;
- დამუშავდა სამაგიდე კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია, განხორციელდა არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების ანალიზი;
- პროცესის მონაწილეობრივი პრინციპის დაცვით წარმართვისთვის იდენტიფიცირდა დაინტერესებული მხარეები;
- სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართულობის მსურველი დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის მიზნით, ინფორმაცია გავრცელდა წერილობით, სატელეფონო კომუნიკაციით, სოციალური კაპიტალითა და ონლაინ პლატფორმების საშუალებით და უზრუნველყოფილ იქნა, სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართვის მსურველთა ონლაინ რეგისტრაცია;
- გაიმართა სამუშაო ჯგუფების შეხვედრები და კონსულტაციები, მრგვალი მაგიდის ფორმატში, სულ 7 შეხვედრა;
- დამუშავდა თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაცია და შეიქმნა იმ ღონისძიებების რეესტრი, რაც შეხვედრებზე, დაინტერესებული მხარეების მხრიდან პრობლემების გადაჭრის გზად დასახელდა;
- სტრატეგიის შესამუშავებლად მერის ბრძანებით შეიქმნა კიდევ ერთი საკოორდინაციო - სექტორთაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა მუნიციპალიტეტის

სამსახურების, საკრებულოს, არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებით, ახალგაზრდებითა და სხვა დაინტერესებული პირებით;

- დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განისაზღვრა სტრატეგიის ხედვა;
- დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განისაზღვრა სტრატეგიული მიზნები;
- შემუშავდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სტრატეგიის (2023-26) პროექტი;
- შემუშავდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი;
- პროექტები განხილულ იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - ახალგაზრდულ საბჭოსთან;
- სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტების შემუშავების პროცესში კონსულტაცია და საექსპერტო მომსახურება გასწია სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ გამოყოფილმა მენტორმა;
- სტრატეგიის შემუშავების ყველა ეტაპზე, პროცესის მონაწილეობრივად წარმართვის მიზნით, ახალგაზრდობის პოლიტიკის კოორდინატორებს კონსულტაციას და მხარდაჭერას უწევდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი;

- ,,ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის შემუშავებ ის მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა“ განიხილა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პ როექტები და თანხმობა განაცხადა საჯარო განხილვაზე გატანის თაობაზე;
- გაიმართა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტების საჯარო განხილვა;
- საჯარო განხილვებზე მიღებული რეკომენდაციები და შენიშვნები, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულ იქნა მუნიციპალტეტის უფლებამოსილებებისა და რესურსების ფარგლებში;
- 2023 წლის 24 თებერვალს ,,ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა“ განიხილა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტები და თანხმობა განაცხადა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე წარდგენის თაობაზე;

სტრატეგიის შემუშავების პროცესში პრინციპულად მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, განსაკუთრებით ახალგაზრდების მონაწილეობა, რადგან დოკუმენტის მთავარი სამიზნე ჯგუფი, სწორედ ახალგაზრდები არიან, რომელთა ცხოვრების ხარისხსა თუ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითი გავლენა უნდა იქონიოს სტრატეგიით განსაზღვრულმა მიზნებმა და მისაღწევმა შედეგებმა, შესაბამისად, სტრატეგიული დოკუმენტი შემუშავდა ახალგაზრდებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

დაინტერესებული მხარეები:

- 18 დან 29 წლის ახალგაზრდები

- მოსწავლეები
- სტუდენტები
- მასწავლებლები
- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები
- სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები
- საკრებულოს წევრები
- სოციალური მუშაკები
- ახალგაზრდული მუშაკები

შენიშვნა: სტრატეგიის შემუშავების პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართი №3-ში.

თავი II

1. ხედვა

ბათუმი არის მუნიციპალიტეტი, სადაც შექმნილია ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზებაზე, ეკონომიკურ გაძლიერებასა და საჭიროებებზე ორიენტირებული გარემო, აღიარებულია ახალგაზრდების პოტენციალი და ხელშეწყობილია ახალგაზრდების განვითარება, მონაწილეობა და კეთილდღეობა.

2. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

ახალგაზრდობის მუნიციპალური პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა და ფორმულირება განხორციელდა სამუშაო ჯგუფთან და დაინტერესებულ მხარეებთან გამართულ კონსულტაციებზე მიღებულ ინფორმაციაზე, კვლევებზე და „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციაზე“ დაყრდნობით.

სტრატეგიული მიზანი 1.
ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში
გამომდინარე იქიდან, რომ „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის" ერთ-ერთი მთავარი მიგნება და გამოწვევა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელია, ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობისა და მონაწილეობის გასაზრდელად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების ფარგლებში გატარდება სხვადასხვა ღონისძიება.

ამოცანები
ამოცანა 1.1 ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა **ამოცანა 1.2** მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობა **ამოცანა 1.3** გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობისა და ჩართულობის ხელშეწყობა **ამოცანა 1.4** ახალგაზრდების ინფორმირებულობის ხელშეწყობა **ამოცანა 1.5** ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა **ამოცანა 1.6** მონაწილეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზანი 2.

არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა

ვინაიდან კვლევებით გამოკვეთილ გამოწვევებს შორის, ერთ-ერთი გამოწვევა არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდულ საქმიანობაზე ხელმისაწვდომობაა, ამ მხვრივ, გატარდება ღონისძიებები არაფორმალური განათლების შესაძლებლობების შექმნისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობისთვის, რისი მეშვეობითაც ხელშეწყობილი იქნება ახალგაზრდების განვითარების მხარდაჭერა.

ამოცანები

ამოცანა 2.1 ახალგაზრდებში გამჭოლი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა;

(მოქალაქეობრივი, გარემოსდაცვითი, ანალიტიკური, ინფორმაციული, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებლად სწავლის, ურთიერთობის, კულტურული გამოხატვისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა);

ამოცანა 2.2 ახალგაზრდული მუშაკის სერვისის დანერგვის ხელშეწყობა;

ამოცანა 2.3 შეკრების სივრცეებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ახალი სივრცეების შექმნის ხელშეწყობა;

ამოცანა 2.4 ახალგაზრდების შემოქმედებითი ნიჭის, შესაძლებლობების გამოვლენა და რეალიზების ხელშეწყობა;

ამოცანა 2.5 ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;

ამოცანა 2.6 გართობა - დასვენების ხელშეწყობა.

სტრატეგიული მიზანი 3.

ახალგაზრდების დასაქმების, კარიერული განვითარებისა და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის/სტარტაპის მიმართულებით კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა

როგორც კვლევებმა აჩვენა, დასაქმების საკითხი ერთ-ერთ მწვავე გამოწვევას წარმოადგენს ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტს აქვს უფლებამოსილება ადგილობრივ დონეზე გაატაროს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით.

„2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის 7054-რს დადგენილების თანახმად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, რომლის ერთ-ერთ მე-4 სტრატეგიულ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს „ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება".

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელს შეუწყობს ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობასა და ეკონომიკურ გაძლიერებას სხვადასხვა ღონისძიებით.

ამოცანები

ამოცანა 3.1 პროფორიენტაციის, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა;

ამოცანა 3.2 დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა;

ამოცანა 3.3 ტექნოლოგიური, სტრატაპ და სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა;

ამოცანა 3.4 სწავლის წახალისების ხელშეწყობა.

სტრატეგიული მიზანი 4.
ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა
ვინაიდან, ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობით დაკავებულობის მაჩვენებელი დაბალია, ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით კვლევების მიხედვით არსებული გამოწვევების საპასუხოდ გატარდება სხვადასხვა ღონისძიება.

ამოცანები
ამოცანა 4.1 ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერების ხელშეწყობა; **ამოცანა 4.2** მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა; **ამოცანა 4.3** რეპროდუქციული ჯანმრთელობის მნიშვნელობის გაცნობიერების ხელშეწყობა; **ამოცანა 4.4** ადიქციური ქცევების, დანაშაულის, ძალადობისა და ქუჩური მენტალიტეტის პრევენცია და დაძლევის ხელშეწყობა; **ამოცანა 4.5** ახალგაზრდების ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.

თავი III

1. სტრატეგიის იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები

1.2 სამოქმედო გეგმა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების ოთხწლიანი სტრატეგიის ფარგლებში, სამოქმედო გეგმები ერთწლიანი იქნება და თითო წლის განმავლობაში ეტაპობრივად დაფარავს ყველა ამოცანას. პირველი წლის სამოქმედო გეგმა სტრატეგიის დოკუმენტს თან ერთვის და მასში მოცემულია, როგორც სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, ამავდროულად მიზნის მიღწევისა და ამოცანების გადასაჭრელად გასატარებელი ღონისძიებები/აქტივობები, შედეგების ინდიკატორები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი სტრუქტურა და ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებისა და შესაძლებლობების ფარგლებში. <u>**დანართი №2**</u>

1.3 მონიტორინგი და შეფასება

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის განუყოფელი ნაწილია მონიტორინგი და შეფასება. რომლის მიზანია დაკვირვება ახალგაზრდული სტრატეგიის მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების მიღწევაზე და მათი შეფასება. არსებული გამოწვევებისა და შეფერხებების დროული გამოვლენა სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. პროცესი ასევე აფასებს, რამდენად განაპირობა სამოქმედო გეგმაში გაწერილმა საქმიანობებმა გამოწვევების მოგვარება და მიღწეულია თუ არა ამოცანები და მიზნები. მუნიციპალიტეტის რესურსებისა და უფლებამოსილებების შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული შედეგების შესაფასებლად, განხორციელდება მონიტორინგი, რაც გულისხმობს სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების მონაცემთა რეგულარულ შეგროვებას წელიწადში ორჯერ, მუნიციპალური პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით და მომზადდება მონიტორინგის ანგარიში.

უზრუნველყოფილი იქნება სტრატეგიის შეფასებაც, რაც გულისხმობს სტრატეგიის არსისა და შედეგების ერთჯერად ანალიზსა (ორ წელიწადში ერთხელ, ერთჯერადად) და საბოლოო შეფასებას.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილია რეგულარული ანგარიშგება. რომელსაც ამზადებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილება, პროგრამების განმახორციელებელთა ანგარიშების შესწავლისა და ინტერვიუების, სტატისტიკური მონაცემებისა და პროგრამებით მოსარგებლე პირების შეფასებების საფუძველზე.

სტრატეგიის შეფასების ანგარიშები დოკუმენტის განხორციელების პერიოდში მზადდება ორჯერ - შუალედური შეფასება ტარდება დოკუმენტის დამტკიცებიდან 2 წლის თავზე 2025 წლის არაუგვიანეს 31 მარტისა, ხოლო საბოლოო შეფასება - დოკუმენტის ვადის გასვლისას 2027 წლის არაუგვიანეს 31 მარტისა. ახალგაზრდობის სტრატეგიის დოკუმენტის შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შერეული ტიპის შეფასება, როდესაც მერიას შეიძლება ეხმარებოდნენ დამოუკიდებელი გარე ექსპერტები ან სხვა ორგანიზაციები.

მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების ფორმებს განსაზღვრავს მონაცემების შეგროვებაზე და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა და მონაწილეობა სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების პროცესებში.

ბიბლიოგრაფია

1."საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

2. „ახალგაზრდების უმუშევრობა და მისი შემცირების გზები საქართველოში“

https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/538/Youth%20unemployment%20in%20Georgia%20and%20the%20ways%20for%20its%20reduction.pdf?sequence=1&isAllowed=y

3. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 რს დადგენილებით დამტკიცებული - „2020 – 2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“

4. ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა, მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე, ბათუმის მუნიციპალიტეტი და აჭარის რეგიონი, კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, 2021

5. ,,მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულება;

6. „ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“ განახლებული ევროპული ქარტია, მიღებულია ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მიერ 2003 წლის 23 მაისს, 128-ე რეკომენდაციის დანართი

7. „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის განკარგულება

8. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030 წლისთვის)

9. „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სტრატეგია“ – 2015 წელი

10. ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია 22 მაისი 2018 წელი „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ (2018/C 189/01)

11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვეცნია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 აპრილი, №14.25

12. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, (1948, 10 დეკემბერი) საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით

13. „ახალგაზრდობის კვლევის ძირითადი კვლევები“, პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე, ევროკომისიისა და ევროპის საბჭოს შორის პარტნიორობა ახალგაზრდების საკითხებზე, ევროპის საბჭო და ევროკომისია, 2019

14. საქართველოს ახალგაზრდული სახელმწიფო პოლიტიკა საბაზო კვლევის შედეგები 25-26 ოქტომბერი, 2017, ანატოლი კორეპანოვი.

15.„ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელო“ 2018, World Vision საქართველო

16. ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი

17. პრაქტიკული სახელმძღვანელო ახალგაზრდულ ჯგუფებთან მომუშავეთათვის“ ჟ. გაილუსი, ა. მალნაუსკასი

18.„ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში“ - საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროების ანალიზი, 2015 წელი, UNICEF

19.„ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ“

20.„თაობა გარდამავალ პერიოდში“ - ახალგარზდების კვლევა 2016, ფრიდრიხ ებერტის ფონდი

21. „ახალგაზრდული სფეროს კვლევა“ – 2011, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი

22. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება“, თავი 16, „განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა“

23. ერიქსონი „ფსიქოსოციალური განვითარების სტადიები“

24. მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკა, სტანდარტი, სარეკომენდაციო მასალა, ახალგაზრდობის სააგენტო 2021, პირველი გამოცემა

25. „ნარატივების კვლევის“ ანგარიში, კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, 2022 წ.

26. გაერთიანებული ერების ახალგაზრდობის სტრატეგია 2023 (United nations youth strategy, Youth 2030 Working with and for young people).